სამშაბათი, 1918 წ. მაისის 13 № 90

ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი, 1918 წ. მაისის 13 № 90

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

პირდაპირ ადგილზედ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ცალ-ცალკე—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

საგულისხმიერო ცნობები

ბათუმის საზავო კონფერენცია ამ დღეებში გაიხსნება.—მოელიან ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის დელეგაციას.—რუმინეთმა გერმანეთთან ზავის შეკვრის გამო მანიფესტი გამოსცა: თავის თავს ნეიტრალად აცხადებს.—ზედა პალატაში ლანსდოუნს განუცხადებია: ზავზე დათანხმება ინგლისისათვის ერთად ერთი გზაა სამარცხვინო ომის თავიდან ასაცილებლადო.

ხმებია გერმანელებმა და უკრაინელებმა არმავირი აიღესო.

ქართველ მხედართა კავშირი აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ შაბათს, 11 მაისს, ბნელმა ძალებმა მოჰკლეს კავშირის ჯარისკაცი

ილია გაგნიძე

ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან ოთხშაბათს, 15 მაისს. (1—1)

მეშვიდე პოლკის საგანგებო მზვერავი რაზმი, შედგენილი ქართველ მხედართა კავშირისაგან, რომელიც იცავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ შაბათს, 11 მაისს, ნაძირალებისაგან ვერაგულად მოკლულ იქმნა ამხანაგი

ილია გაგნიძე

ცხედრის გასვენება მოხდება ოთხშაბათს, 15 მაისს, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიიდან. (1—1)

საქართველოს პოლიტიკური წყობილება

საქართველოს ეროვნული საბჭოს კვირის კრებაზე ყველა ფრაქციებმა გამოსთქვეს თავისი აზრი საქართველოსა და ამიერ-კავკასიის პოლიტიკური წყობილების შესახებ.

სოციალ-დემოკრატებმა, მენშევიკებმა წარმოადგინეს პროექტი ამიერ-კავკასიის ფედერატიულად მოწყობისა. ამ პროექტით უნდა არსებობდეს საერთო ამიერ-კავკასიის პარლამენტი ყველა ერის მიერ არჩეული და ერთი მისი აღმასრულებელი ორგანო—სამინისტრო, თუ საბჭო. ამ საერთო, ცენტრალურ ორგანოების ხელში იქნება ყველა მთავარი სახელმწიფოებრივი საკითხები—საგარეო, სამხედრო, საფინანსო, საბაჟო, თითქმის სრულიად სისხლის და სამოქალაქო სამართალი, სავაჭრო უფლება, საერთო გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, შრომის დაცვა და სხ.

სხვა ფრაქციების წარმომადგენლებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ ეს არ არის ფედერატიული წყობილება, არამედ უნიტარული სახელმწიფო, რომელსაც თითქმის ყველა სახელმწიფოებრივი საკითხები საერთო ცენტრს ეკისრება და ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულებს კი ენიჭება მხოლოდ ადგილობრივი თვითმართველობა.

სოციალ-დემოკრატიულ „ალიონის“ ჯგუფმა ამიერ-კავკასიის კონფედერაციად მოწყობა მოითხოვა. საერთო კანონმდებელ ორგანოს უნდა დარჩეს მხოლოდ საგარეო, სამხედრო, საბაჟო და საერთო ფინანსების საქმე. ყველა დანარჩენი, საკითხები საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კანონმდებელ ორგანოების კომპეტენციას უნდა შეადგენდეს. ასეთივე პროექტი წარმოადგინა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ. სოციალისტ-რევოლუციონერებიც ამასვე მიემხრნენ.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა საქართველოს გამოყოფა ამიერ-კავკასიიდან და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოწყობა.

ფრაქციის წარმომადგენლებმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის საერთო საკანონმდებლო ცენტრისთვის ისეთი მთავარი საკითხების გადაცემა, როგორიც არის საგარეო და სამხედრო საქმე, საბაჟო სისტემა და საერთო ფინანსები იქმნება მხოლოდ საზიანო და შემაფერხებელი საქართველოსთვის. როგორი საერთო საგარეო პოლიტიკა შეიძლება ჰქონდეს სომხებს, თათრებს და ქართველებს, რომელთაც ერთი ჩრდილოეთისკენ მიიწევს, მეორე სამხრეთისკენ და მესამე კი დასავლეთისაკენ? როგორი სამხედრო საქმე უნდა მოეწყოს საერთოდ, როდესაც, თუ საქმე ერთ მეზობელთან გამწვავდა, შესაძლოა ერთი ერი წავიდეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს წინააღმდეგ და თუ მეორე მეზობელთან გართულდა საქმე ასევე მოიქცეს მეორე მეზობელი. თვით მინისტრებისა, თუ სარდლების დანიშვნაშიც კი შეუძლებელი იქნება ამ ერთა შეთანხმება. ფრაქციის აზრით არც სასარგებლო და სასურველია და არც შესაძლებელი ამიერ-კავკასიის ხანგრძლივად ერთ კონფედერაციად არსებობა, რის მაგალითს საკმაოდ იძლევა ერთი წლის მოღვაწეობა ამიერ-კავკასიის მთავრობისა და სეიმისა. საქართველო უნდა მოეწყოს ცალკე სუვერენულ სახელმწიფოდ და მან უნდა აწარმოოს საკუთარი და დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. თავის მეზობლებთან ამა თუ იმ საერთო საკითხზე ის შეთანხმებასა და მორიგებას მოახდენს ისე, როგორც ყველა დიდი და პატარა სახელმწიფონი უთანხმდებიან ასეთს შემთხვევაში ერთმანეთს.

ეროვნული საბჭოს საბოლოო დადგენილება ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი. შესაძლოა, რომ ის კიდევ არ გადადგამს იმ დიდათ დაგვიანებულს ნაბიჯს, რომელსაც შეუძლიან აგვაცდინოს მრავალი ახალი ეროვნული საფრთხე და დაბრკოლებები. ჩვენი სოციალისტური პოლიტიკა ჯერ კიდევ თვალ-ახვეულად განაგრძობს მსვლელობას. მას ჯერ კიდევ ვერ გამოუტანია შესაფერისი დასკვნა ამ მრავალი უბედურობისაგან, რომელიც აწვია ჩვენს ქვეყანას სწორედ იმ პოლიტიკის იმედით, რომელსაც ისინი დღესაც არ ეთხოვებიან.

საქართველოს პოლიტიკურ შენობას მხოლოდ ეხლა ვიწყებთ. ჯერ ფორმაზედაც არ ვართ შეთანხმებული. სახელმწიფოებრივი ფორმის მიღება კონფედერაცია იქნება ის თუ სრული დამოუკიდებლობა და ამის კონსტიტუციის შემუშავება კიდევ ადვილია. მთავარი საქმე დაიწყება, როდესაც ამ სახელმწიფოებრივი ფორმის ხორცის შესხმას შეუდგებით, სახელმწიფოებრივი შენობის აგებას დავიწყებთ.

მოგვეპოვება ჩვენ ამ უდიდესი აღმშენებლობისათვის საჭირო მასალა, საღსარი და ძალები თუ ამის ძებნა დაგვჭირდება ჩვენს გარეშე?

მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნა, როდესაც ამ ჟამად ცარიელი ადგილი გვაქვს მხოლოდ, მთელი მმართველობის მოწყობა, როდესაც ამის მხოლოდ ნაწილი და ნანგრევებია, საკუთარი ხაზინის მოწყობა, როდესაც ამისთვის არაფერი მოგვეპოვება გარდა ქაღალდისა და საღებავისა, აშენება სასამართლოს, სკოლის, აღდგენა და გაშენება გზების, მოწესრიგება ქალაქებისა და სოფლების მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის,—შეგვწევს თუ არა ყოველივე ამისთვის საკმარისი ძალა, საღსარი, ცოდნა და გამოცდილება?

მრავალი რამ არ აღმოგვაჩნდება, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი შენობის აგებას შევუდგებით. ბევრი მასალის დაგვჭირდება უცხოეთიდან მოზიდვა და ხელოსნებისა და ოსტატების მოწვევა იქიდანვე. ეს ერთად ერთი გზაა, თუ გვინდა, რომ საქართველო აღდგეს მტკიცე და ძლიერი. ან იქნებ ჩვენ ვარჩევთ [illegible] და განვაგრძობთ ხუხულას შენებას, რომლითაც თავს ვიქცევთ ეს ერთი წელი?

საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის საჭირო მასალა და ხელოსნება ჩვენ დასავლეთიდან უნდა მოვიზიდოთ. ზოგს ჰგონია, რომ ეს არ იქნება სასურველი ოსმალეთისთვის. ეს შეცდომაა. ჩვენი ქვეყნის საფუძვლიანად პოლიტიკურ შენებას ჩვენ შევუდგებით მაშინ, როდესაც შერიგებული და შეთანხმებული ვიქნებით ოსმალეთთან. მასთან ზავი და მეგობრული განწყობილება, ამიერ-კავკასიის ჩრდილოეთით დაცვა, სამხედრო საქმეებში შეთანხმება და სხ. აუცილებელი პირობაა ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკური აღმშენებლობისათვის. ამაზე შორს ოსმალეთი არ მიდის და ეს მრავალჯერ განუცხადებიათ მის პასუხისმგებელ წარმომადგენლებს. საქართველოსთან ჩვენ მშვიდობიანი განწყობილება გვსურს, ჩვენ არ ვერევით მის შინაურ პოლიტიკურ საქმეებში, ჩვენც ვის სასურველია ძლიერი საქართველოო და სხ. ასეთი უნდა იყოს ოსმალეთის მიზნები და სურვილები. მას არასოდეს არ ჰქონია პრეტენზიები, რომ მეზობელ ქრისტიანული ქვეყანა პოლიტიკურად მოეწყოს და აშენებულიყო. მითუმეტეს დიდათ საინტერესოა კი, რომ ეს პოლიტიკური აღმშენებლობის დახმარება მის მოკავშირე გერმანიიდან მივიღოთ და არა მის მტრებისაგან—ინგლისიდან თუ საფრანგეთიდან.

ა. ასათიანი.

საქართველოს ტერიტორია

კონსტიტუციის შედგენით და წესწყობილების დამყარებით კავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი მოთხოვნილება და პოლიტიკური მისწრაფება ვერ დაკმაყოფილდება. საჭიროა უწინარეს ყოვლისა შესრულდეს აქტი, რომელიც ჩამოაყალიბებს ეროვნულ ერთეულებს, განსაზღვრულ ტერიტორიებზე შექმნის სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომელთა ნებაყოფლობაზე დამოკიდებული უნდა იყოს ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირის იურიდიული შინაარსი.

რამდენადაც ამიერკავკასიის სახელმწიფოს საერთაშორისო უფლებამოსილობისათვის აუცილებელი იყო სუვერენობის ნოტიფიკაცია, იმდენადვე მისი შინაური უზრუნველყოფისათვის სასურველია ეროვნულ სახელმწიფოთა იმგვარი ორგანიზაცია, რომელიც შესაძლოდ გაჰხდის სოლიდარულ მოქმედებას საყოველთაო სასარგებლოდ.

დასაფარავი არ არის ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის ერები გამოსჭვალულნი არიან უმეტესად იმ იდეით, რომ მოაწყონ საკუთარი ნაციონალური სახელმწიფო და ამის შემდგომ გამონახონ საშუალებანი სხვა ამგვარადვე შედგენილ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებისათვის.

რა სახისაც უნდა იყოს კავკასიის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რა ტიპის სახელმწიფოც უნდა დაარსდეს ჩვენს ქვეყანაში—უნიტარული, ფედერალური, კონფედერატიული, თუ სავსებით დამოუკიდებელი სახელმწიფონი,—ცხადია ის, რომ ამ მოვლენას წინ დაერთვის კავკასიის ეროვნულ-ტერიტორიული გადამიჯვნა, და ამ პროცესის საბოლოო შესრულებაზედ არის უცილობლად დამოკიდებული საერთაშორისო კავშირის ახალი წყობის წარმატება.

პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხთა შორის პირველ რიგში სდგას საკითხი ამიერ-კავკასიის ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ. პრინციპიალურად ამ პროცესის შესრულება სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც ამა თუ იმ ერისა თუ სახელმწიფოს მიწა-წყალი ცნობილია და ამ ჟამად უნდა მხოლოდ შემოიხაზოს სახელმწიფოებრივად ის, რაც რუსეთის ქვეშევრდომობის დროს გაფანტული იყო, როგორც საერთო ადმინისტრატიული ერთეული. მაგალითად, ბევრს გადახალისებულ „გორდიის კვანძად“ მიაჩნია ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის საკითხი. ეთნოგრაფიული ფერადობა ზოგიერთი საქართველოს განაპირა კუთხეებისა, ძალით დაჩემება და ხელოვნურად მოწყობილი ჩასახლება მრავალ ადგილას მტრისათვის საკმაო საბუთს შეადგენს ეგრედ წოდებულ შემდგომი [illegible], რეალ მოსახლეობის თვალსაზრისზე დგომისათვის. სულ უკანასკნელ დღეებში სოციალისტ-ფედერალისტების პარტია რეალ მოსახლეობის პრინციპზე ამყარებდა კავკასიის ერთა და კერძოდ საქართველოს ტერიტორიულ გადამიჯვნას, რომლის განსახორციელებლად საუკეთესო საშუალებათ ასახელებდა რეფერენდუმს. არას ვიტყვით სოციალ-დემოკრატებზე, რომელთაც საქართველოს ისტორიული და სახელმწიფოებრივი პრინციპების რეალიზაცია იმპერიალისტურ ზრახვად ეჩვენებათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების გახსენება მათის აზრით არის გაბატონებული კლასების ინტრიგა. „ერთობა“ მოუწოდებს დემოკრატიას „ფხიზლად იყოს და უსამართლობის ჩადენის ნება არავის მისცეს“, რადგანაც, ფედერაციის აზრით, იმ ადგილებში, სადაც ერები არეულად ცხოვრობენ, უნდა გახელმძღვანელოთ უმრავლესობის პრინციპით („ერთობა“ № 94). მაგრამ თვით „ერთობა“-ც აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოთა უმრავლესობაში მცხოვრებთა შემადგენლობა ჭრელია, მრავალი ეროვნება ცხოვრობს სხვა და სხვა ენით და ზნე-ჩვეულებით, სხვა და სხვა „კულტურითა და ეკონომიური განვითარებით“. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ძლიერ მცირეა ისეთი ქვეყნები, სადაც ერთი მთლიანი ერი ბინადრობს; სოციალ-ეკონომიური პირობების მეოხებით ძველი „ჩინური კედლები“ ყველგან მონგრეულია და ხალხის ტალღა დაუბრკოლებლად გადადის ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

ასეთია ეკონომიური ცხოვრების, აღებ-მიცემობის გარდუვალი კანონები, რომლის წინააღმდეგ ვერავითარი აკრძალვითი ზომები ვერ იმოქმედებს. მაგრამ რომელიმე სახელმწიფო ან ეროვნული ერთეული ჰკარგავს საკუთარ სახეს, იმისდა მიხედვით, თუ რა პროცენტს შეადგენს თავის ტერიტორიაზე შემოხიზნულებთან შედარებით? ეცლება მას უზენაესი სახელმწიფოებრივი უფლება-მოსილობა მხოლოდ იმიტომ, რომ მისული ელემენტის რიცხვი აღემატება აბორიგენებს? აქ არის აზრი ყოვლად შეუძლებელია: სუვერენობა სახელმწიფოს მკვიდრი ერის ხელში რჩება ყოველს შემთხვევაში და ვერავითარი პროცენტობითი შედარება ცვლილებას ვერ მოახდენს განსაზღვრულ სახელმწიფოს ცხოვრებაში.

პოლონეთის ბევრ ადგილას მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ ებრაელები, მაგრამ, არა გვგონია, თვით ებრაელებმაც მიიკუთვნონ ის ადგილები, და ან ვინმეს ეჭვი შეეპაროს პოლონეთის სახელმწიფოებრივ უფლებაში ებრაელებისაგან დასახლებულ პროვინციე

ბისადმი. საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში, მოგეხსენებათ, ქართველობა უმცირესობას შეადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა თბილისის შესახებ დავა შეუძლებელია.

საქართველოს ზოგიერთ განაპირა მხარეებში დუხჭირ დროთა ვითარებისა და მრავალ უსამართლოების გამო ქართველობის რიცხვი შესამჩნევად შეთხელდა, მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე რუსეთი ოფიციალად გააუქმებდა ტერმინს „საქართველოს“ და ჩვენს ქვეყანას დაჰყოფდა გუბერნიებად, ოლქებად და მაზრებად, ხსენებული კუთხეები საქართველოს სამეფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ და იქ ჩასახლებული ხალხი, რასაკვირველია, ჰგრძნობდა, რომ სცხოვრობს საქართველოს სამფლობელოში. თვითმპყრობელმა რუსეთმა საქართველოს სხეული დაჩეხა თვის სურვილებისამებრ და არსებულ ადმინისტრატიულ დაყოფათა შექმნით სავსებით მოსპო საქართველოს ხსენება გეოგრაფიულ რუქიდან. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს ნაცვლად ჩვენ მივიღეთ Ахалцихскій и Ахалкалакскій уѣзды, საინგილო და და ჰერეთის ნაწილი მოგვევლინეს Закатальскимъ округомъ.

საუბედუროდ, თვით ქართველ ხალხში ნამეტანად შესუსტდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ქართველობაში თითქმის მოისპო მისწრაფება თვითმყოფობისადმი. რუსეთის ბატონობის ჟამს ქართველი ერი იჟღინთებოდა კოსმოპოლიტური იდეებით, ითვისებდა მეტად მხნედ საერთო ინტერნაციონალურ და ინტერპოლიტიკურ იდეალებს და საკუთარ სამშობლოს ბედზე კი, სამარცხვინოდ და ჩვენდა სავალალოდ, არა ზრუნავდა. ამით აიხსნება უმეტესად, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ თვით ქართველობაში ჰსუფევს უთანხმოება და შეურიგებლობა.

საქართველოს ტერიტორიის მოწყობაზე და სახელმწიფოებრივ გამოყოფაზე ჩვენ ლაპარაკი მოგვიხდება მეზობელ ერებთან. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ერთსულოვან აზრსა და შეხედულებას ამ საგანზე. ყოველი მოლაპარაკება ჰგულისხმობს დათმობასა და კომპრომისს, ამიტომ პირდაპირ ტაქტიკური მოსაზრება უნდა ავალებდეს ეროვნულ მოღვაწეს მეტის დარბაისლობით, პერსპექტივების აწონ-დაწონით და მიზანშეწონილებით მოეკიდოს ხელი სახელმწიფოს ტერიტორიის საკითხს, რომლის გადაწყვეტაში დაინტერესებული არის მთელი ხალხი. ჩვენ კი გამოვდივართ და საჯაროდ ვყვირით, რომ საქართველოს ისტორიული და სახელმწიფოებრივ საზღვრების დაცვა იმპერიალისტების სულის-კვეთებას შეადგენს და ქართველ დემოკრატიას ამ განზრახვების შესრულება მიზნად არ დაუსახავს!?

პატარა საქართველოს საუკეთესო კუთხეები მუხანათურად გამოსტაცეს და სხვათა ტომნი იქ „რეალად“ ჩაასახლეს. სახელმწიფო მოღვაწის წმიდა მოვალეობაა, სადაც ჯერ არს აღნიშნოს საქმის ნამდვილი ვითარება და ეცადოს ამ ადგილების საქართველოს საზღვრებში მოთავსებისათვის.

მხოლოდ ცნებათა არევ-დარევით აიხსნება, რომ საკუთარი ტერიტორიის დაცვა აღინიშნოს, როგორც იმპერიალისტური მიდრეკილება.

რ. ინგილო.

„ანარქიასთან ბრძოლა, რას მოითხოვს სოფელი“?

(გაგრძელება)

მეორე წერილში „ანარქიასთან ბრძოლა“ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა“ სწერს.

„ანარქიამ ღრმად გაიდგა ფესვები ჩვენს ქვეყანაში. ყველგან, განსაკუთრებით კი სოფლებში, დათარეშობენ შეიარაღებული პირები და მშვიდობიან მცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევენ: ძარცვა-გლეჯა, პიროვნების შეურაცხყოფა და ადამიანის მოკვლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ისე გაჭირდა ცხოვრება, იმდენად დანატრულია ხალხი მშვიდობიანობას და მოსვენებას, რომ აღარ დაეძებს, ვინც უნდა ის წამოსკუპდეს მის კისერზე, ოღონდ კი წესიერება დაამყაროს.

ხალხის ერთ ნაწილში მზადდება ნიადაგი ძველი წყობილების აღდგენისათვის. საუბედუროთ, მცხოვრებლების აღნიშნულ ნაწილს თვალსაჩინო გაკვეთილები ესაჭიროება. ის ვერ ხედავს, რომ არც ერთ ძველი ტიპის მოხელეს არ ძალუძს შერყეულ წესრიგის აღდგენა და განმტკიცება. ბევრი სოციალისტებს და მათ გულჩვილობას აბრალებს ყველაფერს, ნაციონალ-დემოკრატ გვაზავამ ტყვილა კი არ თქვა ამას წინეთ სეიმში: რა მთავრობაა დღევანდელი მთავრობა, როცა მე შემიძლია პირველ მინისტრს კლავში ხელი გავუყარო და მასთან პაპიროსი მოვსწიოვო. ზ. ნაციონალ-დემოკრატი იმეორებს იმას, რასაც ზოგი გლეხი ამბობს: რა მთავრობაა ის მთავრობა, რომელსაც მათრახი და სახრჩობელა არ აქვსო. ცხადია სისასტიკეზე ხელს ვერ ავიღებთ. თუ აქამდე რაიმე გულჩვილობას ქონდა ადგილი, ეს არ უნდა განმეორდეს და რევოლიუციის მტრებსა და ორგულთ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანარქიას ღრმა სოციალური მიზეზები აქვს და ცარიელი რეპრესიებით მისი ამოფხვრა ყოვლად შეუძლებელია.

როგორ შეიძლება მისი მოსპობა? „ერთობა გვიპასუხებს:

„მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ მის გამომწვევ მიზეზების მოსპობით. რეპრესიები, სისასტიკე—ეს პალიატივები, ნახევარი ზომებია და საქმეს საბოლოვოთ ვერ უშველის. მაგრამ ასეთს ზომებს მაინც უნდა მივმართოთ, რომ სულ არ აიწეწოს ჩვენი საშინაო ცხოვრება.

ჯერ ზავი, მერე რეფორმები და რეფორმების შემწეობით ანარქიის მოსპობა—ასეთი უნდა იყოს ჩვენი ერთად ერთი გზა. თუ ეს შევძელით, ანარქიასაც მოვსპობთ, ხოლო თუ ეს ვერ მოვახერხეთ, ანარქია თან გადაგვიტანს და ვინმე გარეშეს მოუხდება აქ წესიერების დამყარება, რაც ხალხის მონობის უღელში შებმას გამოიწვევს“.

ზავისთვის ბრძოლა და რეფორმების განხორციელება, სოციალური ტკივილების განკურნვა—ასეთია ის მორიგი საქმე, რომლის გაკეთებას შეუძლია დალუპვისაგან გადაგვარჩინოს“.

საჭიროა „ერთობის“ აზრით, რასაკვირველია, ზავი. მაგრამ ზავი კიდევ არ სპობს ანარქიას და საშინელ უწესრიგობას. წესიერების საბოლოოდ დამყარებისათვის აგრეთვე საჭიროა რეფორმების განხორციელება. მაგრამ როგორ შეიძლება რეფორმების განხორციელება, თუ ხალხში ანარქია იქნა გამეფებული და მთავრობის არავითარ განკარგულებებს და დადგენილებებს გასავალი არ ექმნა. მაშასადამე თვით რეფორმების განხორციელებისათვის საჭიროა წესიერების დამყარება და ანარქიის ჩაქრობა. ანარქიის მოსპობისათვის საჭიროა რეფორმები, მაგრამ რეფორმების მოსახდენად საჭიროა ანარქიის ჩაქრობა! ასეთის ჯადოსნურ წრეში მიმწყვდეულად ხედავს ჩვენს ცხოვრებას თვით მთავრობის გაზეთი.

ბათომის საზავო კონფერენცია

საზავო მოლაპარაკება

6 მაისს, ოსმალეთის დელეგაციას ჩამოყვნენ: ჯემალბეი, საზღვაო მინისტრი და მისი კაბინეტის უფროსი, ფილიპ-რიფქი. ბათომის ნავთსადგურის დასათვალიერებლათ. ცნობებია, ჯემალბეი ყარსში აპირებს წასვლასო; მუსტაფა-აბდულ-სულიკ-ბეი ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სუ-სეკრეტარი; მუქთარ-ბეი საზოგადო საქმეთა სამინისტროს სუ-სეკრეტარი. პარტიის „Union et Progres“-ს ნევრები. ნაზიმ-ბეი და ბეიდინ შაქირ-ბეი; სენატორი, ფერიქ-რიზა-ფაშა რამოდენიმე დეპუტატი, ხელი-პაშის რიზეს დეპუტატი—სული-ბეი და აზრუმის დეპუტატი რაიფ ეფენდი; ჩამოვიდა აგრეთვე მთელი წყება მსაჯულთა, ადმინისტრაციის და ფინანსების მოხელეთა ბათომის, არტაანის და ყარსის ოლქებისათვის.

—

ამ სადელეგაციო გემით ჩამოვიდა ჩვენი თანამემამულე ბ-ნი **პეტრე სურგულაძე**, რომელიც დიდი ხანია რაც ევროპაშია წასული. ომის დაწყებიდან იგი სხვა ჩვენი თანამემამულეებთან, ერთად მუშაობდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ცენტრალურ კავშირის სახელმწიფოებში.

—

5 მაისს ღამის ორის ნახევარზე თბილისიდან დაიძრა სადელეგაციო მატარებელი. მატარებელი ბათომისკენ მიაქანებს ამიერ-კავკასიის დელეგაციას. ექვსს მაისს ეს დელეგაცია ბათომში უნდა შეხვდეს მოპირდაპირეთა დელეგაციას, რომ მასთან ერთად ზავის პირობები გამოიმუშაოს. ამიერ-კავკასიის დელეგაცია 6 წევრისაგან შესდგება, თითო ეროვნება ორ-ორის კაცით არის წარმოდგენილი. ქართველებიდან ა. ი. ჩხენკელი და ნ. ი. ნიკოლაძე; მაჰმადიანებიდან მ. გ. გადჟინსკი და მ. ე. რასულ ზადე; სომხებიდან, ა. ი. ხატისოვი და რ. ი. კაჩაზნუნი. დელეგაციის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელია, ამიერ-კავკასიის მთავრობის მეთაური, დანარჩენნი—დელეგაციის წევრები არიან.

დელეგაციის შემადგენლობაში შემოდიან: სამხედრო მისია, სხვა და სხვა სამინისტროს წარმომადგენელნი, დელეგაციის მრჩეველნი, დელეგაციის დრაგომანი, დელეგაციის საქმეთა გამგე, დელეგაციის ნაციონალური მდივნები, დელეგაციის მდივნები და სხვანი.

დელეგაციის სამხედრო მისია.

დელეგაციის სამხედრო მისიას შეადგენენ: გენ.-ლეიტ. ოდიშელიძე, გენ.-მაიორი ყორღანოვი და პოლკოვნიკი გაიდაროვი.

მისიის თავმჯდომარეა გენ.-ლეიტ. ოდიშელიძე, დანარჩენები არიან მისი წევრები. მისიის მრჩევლად არის პოლკ. ს. ს. ცაბაძე. მისიის თავმჯდომარეს ადიუტანტად პოლკ. ამილახვარი ახლავს, და ორდინარეცად ნ. კ. აფხაზი.

სხვა და სხვა სამინისტროების წარმომადგენელნი.

ვაჭრობა-მრეწველობისა—გ. დ. ჟურული და მ. ს. ქიქოძე. ფინანსებისა—გუნიატიონი.

დელეგაციის მრჩევლები.

პროფ. ზ. დ. ავალიშვილი, პროფ. ღამბაროვი, ა. გ. საფიკურსკი და მ. ვ. ხან-ბაბა. ს. მ. კადია, ახმედ ბეგ პეპინოვი და გრუზინთან,—ერაციანი.

დელეგაციის მდივნები.

რ. ს. მიქელაძე, ს. ი. ახვლედიანი და ი. ი. დერზიბაშევი.

დელეგაციის დრაგომანია.

ვ. დ. ლამბაშიძე დელეგაციის საქმეთა გამგე—გოზდავ-სოკოლსკი.

დელეგაციაშია: ი. ა. გოგოლაშვილი, საქ. ეროვნულ საბჭოს საგანგებო რწმუნებული, ქართველ ტყვეების საქმეთათვის დელეგაციის თავმჯდომარეს ახლავს: ა. პ. ქუთათელაძე—თავმჯდომარის პირადი მდივანი, კაპიტანი ე. მაჩაბელი—თავმჯდომარის ადიუტანტი ახმედ-ბეგ ხუჯაბიძე თავმჯდომარის პირადი ადიუტანტი და ა. პ. კიზირია—თავმჯდომარის მინდობილობათა ოფიცერი.

მატარებელი ჩვეულებრივზე მეტის სიჩქარით მიეშურება. პლატფორმებსა და პატარა სადგურებზე აღარ ჩერდება. გამონაკლისს შეადგენს რიონის პლატფორმა, სადაც მატარებელი ერთბაშად შესდგა. აქ მან ჩაისვა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, რომელსაც სოფელში ეწვ-

თამარ

საქართველოს ისტორიაში დიდი თამარ ლეგენდარი ფენომენია უცილოდ:—არა იმ აზრით, თითქო იგი ოცნებით იყოს შექმნილი; არამედ იმ ფიქრით, რომ მისი სინამდვილე უმძაფრესი იყო ფრიად. ჩვენს ისტორიაში არ მოიპოვება მეორე ისტორიული პირი, რომელიც თავის დამტკიცებაში პიროვნულ სინამდვილეს გასცილებოდეს და ერის ისტორიულს ათვისებაში ქცეულიყოს ცოცხალ ლეგენდათ. დიდი იყო დავით აღმაშენებელი და იყო მნიშვნელოვანი გიორგი მესამე: საქართველოს თამარის დროს განდიდება, ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის აზრით, მათი სამხედრო მოქმედების ნაყოფი უფრო იყო, ვიდრე თვითონ თამარის პირადი ღვაწლი,—მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი ერის ისტორიულს შეცნობაში თამარის გვერდით ისინი დაჩრდილულნი გამოდიან ასამჩნევად. საქართველოს მკერდს ახლაც ახსოვს სიყვარულით ჩირქობილი და მრისხანებით გადამტვრეული ხმალი გიორგი საკაძისა,—და მაინც პიროვნება მისი ლეგენდათ არ გადაშლილა. დიადია რუსთაველის გენია: მზით მოკვეთილ სიტყვაში განასხეულა მან საქართველოს ქმედითი სული,—ხოლო „მითი“ იმისი პიროვნების არ ჩამოსხმულა სავსებით. საქართველოს ცოცხალი ლეგენდა თამარია მხოლოდ. გადაავლეთ თვალი საქართველოს ისტორიას: ყველგან, სადაც კი ინაკვთება რომელიმე სახსარი საქართველოს ისტორიის, რომელიმე ხაზ-ტეხილი ეპოქათა მდინარების, ყვავილობს ყველგან სურნელოვანი სახელი თამარის. მიზეზი?—დიდი თამარ სათუთი ნერვია საქართველოს სულის: აი პასუხი. მრავალგზის დასტეხია სასტიკი ბედი საქართველოს ჯაჯგლად აყრილს ტანს, მაგრამ მისი დაფერფლილი სხეულით ახეთქილა კიდევ ახალი ყანა, საქართველოს სულის მხურვალე სუნთქვით აბიბინებული. და თუ ძველი ეგვიპტელი (—პლატონის თხრობით) ქვაზე ასახული ჰიეროგლიფით სცნობდა ატლანტიდის თავგადასავალს და ფესვგამდგარი ხსოვნით გასულ საუკუნოებს და დაღუპულ ხალხებს უახლოვდებოდა,—აქ, საქართველოში, თამარის საოცარი სახელით მთლდებოდა გაწყვეტილი ზოლი ერის სხეულის. დიახ: თამარის სახელი ჰიეროგლიფია ნამდვილი,—ხოლო არა ქვაზე აკვეთილი, არამედ სულის ნერვით ახაზული: ჰიეროგლიფი—ნერვი, რომლის სათუთი ცახცახი აცოცხლებს გადასულს ჟამთა და განცდათა. რომელიმე რჩეული ქართველი ამ ჰიეროგლიფის გამოცნობით (—და მაშასადამე: თანაზიარებით) რომელიმე საუკუნის ქართველის გულის ფართქალსა ჰგრძნობდა (—და გრძნობს დღესაც): და ერთიმეორეს უხილავად გადართული, ქართველები ამ ჯადოსნური სახელით ჰქმნიდენ საქართველოს ისტორიის მთლიან ცხოვრებას.

⁂

„როცა ბაღში მოკვეთილია დღეხას, როგორც ნაყოფი ხეს (—გვამცნობს ერთი მგოსანი), განთვითებული ადამიანი ემზგავსება ახალს ლანდს, მსუბუქ სტუმარს ჰაიდესას, რომელმაც ეს არის დალია ჩქერნი ლეტის, წყალნი დავიწყებისა“. მაგრამ—განვაგრძოთ მისი თქმა: განთვითებული ადამიანი, ჩასძირავს რა თავის თავს ყოფის ოკეანეში, იგრძნობს უთუოდ წინაყოფას თავისას „სხვაში“ და „სხვებში“. ეს არის წინა-მარადი ხსოვნა (—მნემოსინა პლატონის), რომელიც როგორც წყარო-დედა წარმოშობს ცხრა მუზას, ცხრა ნაკადულს: ამ ხსოვნაში იმალება ყოველი შეუცნობელი... ან კიდევ: რომელიმე დიდი ხე აიყრის მრავალს ფშანს; ყოველი ფშანი იმა ხის შვილია; და აი: მოსთხარეს რომელიმე ფშანი და გადარგეს იგი სხვაგან; რა დაემართება? იგი გაიზრდება თავის-თავად; და ამასთანავე: სადღაც შორს-შორს მისი ფესვები იგრძნობენ მოწყვეტილობას და ინაღვლებენ მშობლისათვის. ეს ნაღველი უცილო სახეა წინა-მარადი ხსოვნის. და ასე ყველგან: მსოფლიო სხეულია ნამდვილი და განცდა რომელიმე მისი ნაწილის განცდაა მთელი სხეულის. ტყუილად კი არ გალობს ინდოეთის მგოსანი რაბინდრა ნათ ტაგორ: შეყვარებულს მოუკვდა სატრფო; დაეძებს მას ყველგან; ძებნაში მიადგება იგი უზენაესის ბჭეს და მიჰმართავს: შენ ხარ სათავე და ბოლო ყოვლისა; და შენთან მოვიძევნებ და იგი უთუოდ ვისაც მე დავეძებ; ჰოი, ჩამძირე უფსკრულო მსოფლიოს ყოვლ—შემცველობის ოკეანეში, რომ იქ ვიგრძნო ერთხელც არის ნაზი ხელშეხება მისი... დიახ: მართალია ტაგორ: სატრფოც ხომ ტალღაა ნამდვილი,—და შეერთვის ოდეს ოკეანეს შეყვარებული, იგი უთუოდ იგრძნობს მრავალს ტალღებში დაკარგული ტალღის სათუთს კოცნას. ასეთია საიდუმლო მსოფლიო ცნაურების.. არ არის საკვირველი, თუ სახელი თამარის ამ საიდუმლოთა მოცული: ქართველი მისი სახელით ეზიარების საქართველოს სხეულს მის ისტორიულს დენაში.

⁂

თავის-თავად ცხადია: საგულისხმოა ჩემთვის თამარ არა როგორც წმინდა—ისტორიული პიროვნება, არამედ როგორც ესთეტიური ფენომენი. ხოლო „ისტორია“ აქ „მასალად“ უნდა გამოვიდეს. აი რამოდენიმე ხაზიც. რუმის სულთანი რუქნადირი კარის აღების შემდეგ თამარს ასეთს ბარათს უგზავნის: „აწ მე წარმომიდგენია ყოველი მხედრობა ჩემი (და) აღვხოცე ყოველი მამაკაცი მაგა ქვეყნისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინა-მიმეგებოს, თაყვანი-სცეს ჩადრსა ჩემსა.., ჯვარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მაჰმადი აღიაროს“.. ამ უკმეხი წერილის პასუხად თამარ სწერს რუქნადირს: „ძალს ღმერთისა ყოვლისა მპყრობელისა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნის ჯვარისა მევედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმრისხებელი წიგნი შენი... რუქნადირო და ვცან სიცთეენნი შენნი, რამე თუ ბჭე ღმერთი იყოს!. შენ ოქროსა მეფეთა სიმრავლისად მინდობილხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალთა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა და ჯვარის წმიდისა, რომელი შენ ჰგმე!. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინა-მოგეგებად შენდა“..

საოცარია: რუქნადირის უკმეხობას თამარი ასეთ მშვიდი სიბრძნით მიუგებს: იგი არ მინდობია არც ფულსა და არც ხმალსა: მისი სანდო ღვთაება მხოლოდ და მისი ლოცვის საგანი მარადი ქალწული მარიამ. ამ პასუხში ერთი ხაზმოკრით ასახულია სრულებით თამარის ნათელი პროფილი. თამარ გრძნობს თავის ბუნებით ძალასაც, მაგრამ მისი ლმობიერი და სათნო ბუნება არ აჰყვება ატაცებულს თავმოყვარეობას. ამას თამარის ისტორიკოსიც ამოწმებს: „ვერ შეიტყუა საშუალებამან ამის საწუთროისამან, არცა მეფობამან გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენმა სიმხნემან“.. თამარ მდიდარი იყო უჩვეულად, მაგრამ ისტორიკოსის სიტყვით იგი „არ მიდრკა, ვერცა წარიტაცა სიმდიდრემან“.. გიორგი მესამის დროს განწესდა სიკვდილით დასჯა მეკობრეთა და ავაზაკთა,—თამარ-კი, მასი ქალიშვილი, „მშვიდი და მშვიდობისა მყოფელი იყო“: მეფობის ხანაში „არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვისადმე დაკვრად“.. თუ ვინმეს მიესაჯებოდა კანონით სიკვდილი ან ასოთმოღება, თამარ არ დაამტკიცებდა სასამართლოს განაჩენს და ამ გზით ნელინელ სპობდა სასტიკ სასჯელსა.

მრავალი მხარეა საგულისხმო თამარის პიროვნებაში,—მაგრამ მათ შორის არის ერთი მხარე, რომელიც ნამდვილს ჯადოს აცხადებს თამარის ქცევაში. ისტორიკოსის სიტყვით თამარმა იცოდა „კაცთა უნებლობასა შინა უნებლად და მშვიდობით დაპყრობა (და) მოწყურთა კაცთა ქედფიცხლობისა და გონებაურჩობისა“. საქართველოს ისტორიის პირველყოფილ ცოდოს სწორედ ეს „ქედფიცხლობა“ და „გონებაურჩობა“ შეადგენს,—სწორედ აქედან წარმომდგარი უნდობლობა და შუღლი ღუპავდა ისტორიულად საქართველოს,—და თუ თამარის პიროვნება „კაცთა უნებლობას“ „უნებლად და მშვიდად იპყრობდა“, თუ კი იგი ჯადოსნურად სპობდა „ქედფიცხლობასა“ და „გონებაურჩობას“,—საკვირველი აღარაა მაშინ, თუ რათ იქცა საქართველო თამარის დროს მთლიან სხეულად, საცა მისი შემადგენელი წევრები ერთი მეორეს კი არ ეცილებიან პირადი სიცოცხლისათვის, არამედ ერთიმეორეს შერთულნი ჰქმნიან ერთი მთელის ცხოვრებას. მართალს იტყვის ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი: „თამარის მეფობის პირველ ხანაში რამდენიმე მეტად სახიფათო მოძრაობა და განდგომა იყო და ყოველთვის თამარმა თავის წინდახედულობით და ფრთხილის მოქმედებით განსაცდელს კეთილად სძლია და საქართველოში მშვიდობიანობა დაამყარა“. და მოწმობს ხომ ამ მოვლენას სავსებით ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე: „თამარმა „სამეფო განუხეთქელად დაიცვა, ყოველივე შეიტკბნა დაყო მშვიდობა ყოველთა-თვის“..

გრ. რობაქიძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყა დელეგატად არჩევას ამბავი და სადელეგაციო მატარებლის შესახვედრად გამოსულიყო. გზაში დელეგაციის წევრები ბჭობენ ზავის მოსალოდნელ პირობებზე. ფანტაზიის ფართე ასპარეზი რჩება და დელეგაციის ყოველი წევრი პირადი გუნებისა და ტემპერამენტის მიხედვით წარმოიდგენს და სწყვეტს საზავო ფორმულებს.

მშვენიერი დილაა, ექვსი მაისის დილა. ბუნება ნორჩი ფერის მწვანითაა ახავერდებული. დილის მზე გარემოში თანდათან ვრცელდება და მისი პირველი სხივები ბუნებას უმანკო სიმხურვალით უშრობს ღამის ცრემლებს.

სამტრედიის იქით ბუნებას შვენიერება აკლებს თვით საქართველოს პეიზაჟშიაც დაბადებულებს. რაც უფრო ვუახლოვდებით ბათომს, ბუნების მომხიბლაობა უფრო და უფრო მატულობს. ამომჯდარი ზურმუხტია ეს მხარე. ვაგლახ! დღეს საბოლოოდ გამოირკვა რომ მას პირისუფალი არა ჰყოლია... შეურაცხმყოფელი კონტრასტია ამ ბუნების დილის საზეიმო გალიმებასა და სადელეგაციო მატარებლიდან, მაისის ექვსს, მისი შემაცქერალის ქართველის ჩაშავებულ გუნებას შორის. აქ ცალ-ცალკეა ბუნება და კაცის-გული. სხვა და სხვაა მათი კანონები...

მატარებელი ნატანებში შესდგა. დელეგაციას მოახსენეს რომ სადგურზედ მას ჯარი ელოდა. დელეგაციისა და სამხედრო მისიის თავმჯდომარენი ჩავიდნენ ჯარის მისასალმებლად. დელეგაციის თავმჯდომარემ ა. ი. ჩხენკელმა მოკლე სიტყვით მიმართა.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს მის ჯარს! მიხარის თქვენი ნახვა და გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ მთელ საქართველოის და მასთან ერთად გაერთიანებული ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია თქვენ შემოგცქერის, რადგან ჩვენი დელეგაცია, რომელიც ახლა მიდის, სავსებით თქვენზედაა დამოკიდებული, მისი სიძლიერე თქვენ სიძლიერეზედაა დამყარებული.

ამიერიდან ხართ შვილნი თავისუფალ საქართველოისა და თუ კი ჩვენნი წინაპარნი ათას წლობით იცავდნენ მას, ნუ თუ ჩვენ ვერ შევსძლებთ თავისუფალ საქართველოს დაცვას? და თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ის მაინც ვაჩვენოთ მტერთ, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

გაგვიმაგრეთ ზურგი, შეგვაძლებინეთ საპატიო ზავის შეკვრა, რათა მთელი ჩვენი ენერგიით შევუდგეთ ჩვენ შინაურ ცხოვრების მოწყობას, ძმურ კავშირის გამაგრებას, როგორც ამიერ-კავკასიის ერებთა, ისე სხვა სახელმწიფოებთან.

გმადლობთ დახვედრისათვის და კიდევ და კიდევ გთხოვთ გახსოვდეთ, რომ ჩვენი გამარჯვება თქვენ სიმამაცეზედაა დამყარებული.

მატარებელი დაიძრა. შვიდიოდე ვერსის გარბენის შემდეგ, იგი ხელახლა შესდგა. აქ საქართველოს ახალი საზღვარია. სალახანურმა ტარტარენობამ და ლაყბობის დოკტრინამ გაიყვანა ეს საზღვარი. სახელდახელოდ გვეყოფა. საქართველოს დღევანდელ მბრძანებლებს შეუძლიანთ იამაყონ მათი მოღვაწეობის ბუნებრივი ნაყოფით. მომავალი საქართველო კი სხვა გზით ეცდება ამ ჭრილობის მორჩენას.

მატარებელში შემოვიდნენ ოსმალო ოფიცრები; საქმეს გაეცნენ და გზა გაგვიხსნეს. ცოტა მანძილის გარბენის შემდეგ, კვლავ შეგვაყენეს. საქმის გაცნობის შემდეგ კვლავ გზა გაგვიხსნეს, აქა-იქ მოსჩანს ოსმალოს ჯარის კარავები. ჯარის კაცები მეტად საწყლად გამოიყურებიან. არც ტანთ აცვიათ და არც ფეხთ. მეომრებს კი არა, მათხოვრებს გვანან. მით უფრო მწარე და აუტანელია ყოველივე ის, რაც თავს დაგვატყდა.

ბათომში 6 მაისს.

ბათომის სადგურს მივატანეთ. დღის ორის ნახევარია. სადგურზე დელეგაციას შეხვდა ჩვენი ბათომის ახალი ბატონის ადმინისტრაცია ვალის (გუბერნატორის) მეთაურობით. ერთმანეთის მისალმების შემდეგ, დელეგაცია ჩაჯდა დახვედრილ ავტომობილებში და გასწია წინასწარ დამზადებულ სასტუმრო „ორიენტალში“.

ქალაქი ცარიელია, მიმკვდარინებული. სადგურზე და ქუჩაში დელეგაციის წევრები ნაცნობებს ხვდებიან. ბათომელი ნაცნობების სახეები მეტად დასევდიანებულია.

ნაშუადღევის 4 საათზე გემ „გულნარით“ ოსმალეთის და გერმანეთის დელეგაციები ჩამოვიდნენ, თან კრეისერის თანხლებით. დელეგაციის ჩამოსვლას ზარბაზნის სროლით მიეგებნენ. ჩამოსულ დელეგაციებს დაუხვდა ბათომის ქალაქის თვითმართველობა, ქალაქის თავის ბ-ნ საბახტარაშვილის მეთაურობით და ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანობა მემედ-ბეგ აბაშიძის მეთაურობით. მემედ-ბეგ აბაშიძემ ოსმალურ ენაზე სიტყვით მიმართა დელეგაციას. მას უპასუხა ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ—იუსტიციის მინისტრმა.

ოსმალეთის დელეგაციას შეადგენენ: ხალილ-ბეი, დელეგაციის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის დროებით მოადგილე, დელეგაციის წევრები: ვეხიფ-ფაშა, კავკასიის ფრონტის ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი, ნუსრად-ბეი, იურიდიული მრჩეველი, ორხან-ბეი, ყოფილი პირველი მდივანი ჯერ პეტროგრადში, მერე ბერლინში და სხვა მოხელენი.

—

გერმანეთის დელეგაციას შეადგენენ: თავმჯდომარე, გენ.-მაიორი ფონ ლოსოვი, სამხედრო საქმეების რწმუნებული სტამბოლში, გერმანეთის მთავარი შტაბის წარმომადგენელი. წევრები: ფონ-ჰაასი, საზღვაო საქმეთა მდივანი; ფონ-ბუტინგენი, თავმჯდომარის ადიუტანტი და სმელიან ფონ-ვეზენდონკს საგარეო საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკურ საქმეთა წარმომადგენელი.

ამავე დღეს სადამოს შვიდ საათზე ჩვენი დელეგატები და სამხედრო მისიის თავმჯდომარე გენ.-ლეიტ. ოდიშელიძე თავისთან მიიპატიჟა ვეხიფ-ფაშამ.

7 მაისს.

დილით 12 საათზე ამიერ-კავკასიის დელეგაციას სადარბაზოთ ესტუმრა ოსმალეთის დელეგაცია. ხალილ-ბეი, დელეგაციის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი, ვეხიფ-ფაშა, კავკასიის ფრონტის ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი და ჯემალ-ბეი საზღვაო მინისტრი. დარბაზობამ ერთი საათს გასტანა.

7 საათზე ერთად შეიყარნენ ამიერ-კავკასიის და ოსმალეთის დელეგაციათა თავმჯდომარენი; შეთანხმდნენ ხვალ 8 მაისს ერთმანეთს შეხვედროდნენ და კონფერენციის მუშაობის წესრიგი შეემუშავებინათ.

8 საათზე ოსმალეთის დელეგაციამ სადილად დაპატიჟა ამიერ-კავკასიის დელეგაცია და სამხედრო მისია.

8 მაისს.

დილის 10 ნახ. საათზე ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ ინახულა ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე და ერთად შეიმუშავეს კონფერენციის მუშაობის წესრიგი.

7 საათზე ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი და სამხედრო მისიის თავმჯდომარე გენ.-ლეიტ. ოდიშელიძე ვეხიფ-ფაშას სადარბაზოთ ეწვივნენ.

9 მაისს.

მოპირდაპირეთა დელეგაციების შეხვედრას ადგილი არა ჰქონია. დღეისთვის ნავარაუდევი იყო პირველი სხდომა. მაგრამ არ შესდგა. კონფერენციის მუშაობის დაწყების დაგვიანება მით უფრო გაუგებარია, რომ ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ჩამოსვლის დღესვე ამიერ-კავკასიის დელეგაციასთან საუბრის დროს აღნიშნა საჭიროება საზავო მოლაპარაკების სასწრაფო დაწყებისა.

დღის 1 ნახევ. ს. ბათომს მოადგა ერთი ტრანსპორტი, რომელმაც მოიყვანა 1500-მდე ოსმალო ჯარის კაცი. ჩამოვიდა ფონ-ვეხენდენკი, რომელსაც მოელოდნენ.

გარეში.

მთავრობის სხდომა

მთავრობის სხდომაზე მაისის 9 დაადგინეს: რადგანაც ამიერკავკასიაში რუსობა უმცირესობას შეადგენს, რუსულ ეროვნულ საბჭოს უფლება მიენიჭოს ერთი წარმომადგენელი გაგზავნოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემდგენელ კომისიაში.

ასეთივე შუამდგომლობა გერმანელთა ეროვნულ საბჭოსი განსახილველად საგანგებო კომისიას გადაეცა.

სახელმწიფო ბანკის მიერ კერძო საკრედიტო დაწესებულებებისათვის ფულის სესხების შესახებ მთავრობამ დაადგინა, ფინანსთა მინისტრს ევალება ამის შესახებ მთავრობას 3 დღეში შესაფერი მოხსენება წარუდგინოს. მანამდე კი კერძო საკრედიტო დაწესებულებებს სახელმწიფო ბანკმა აღარ უნდა მისცეს ფული გირავნობის ქაღალდების სათავსურად.

მთავრობის სხდომაზე 14 მაისს დაადგინეს ბათუმის ნავთსადგურის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად სამხედრო მინისტრს მიეცეს 150,000 მ.

ფრონტის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დაკმაყოფილების შესახებ (უნდა მიეცათ 200—300 მან. ფრონტის ოფიცრებთან ერთად) დაადგინეს აირჩიონ კომისია სამხედრო, ფინანსთა და სახელმწიფო კონტროლის მინისტრთა წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ამისთვის საჭირო ფულის რაოდენობა.

დადგენილ იქნა თათრულ კორპუსთან გაიხსნას ლაზარეთი და გადაიდოს ფული მის მოსაწყობად.

დამტკიცებულ იქნა მიწად-მოქმედების სამინისტროს მოსამსახურეთა შტატი.

ომი

კავკასიის ფრონტი

თბილისი. მაისის 11. გენერალი არჯევანიძე იუწყება: მაისის შვიდს საროსა და ხაზაბავარში (ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით) მაჰმადიანთა ჩეტნიკები შეეცადნენ ძველი [illegible] ქედის დაპყრობას, მაგრამ ჩვენებმა სროლით უპასუხეს და უკუაქციეს თავდამხმელნი. ღამით, რამდენიმე იერიშის შემდეგ, ჩვენმა რაზმებმა სამი მხრით ალყა შემოარტყეს ხერთვისს, ჯერ ქედი დაიპყრეს, სადაც ჩეტნიკები იყვნენ გამაგრებულნი და ცეცხლს აჩენდნენ, ხოლო შემდეგში თვით სოფელი ხერთვისი. ახალქალაქსა და ახალციხის რაიონებში მდგომარეობა გართულებულია და ახალ მომენტის მოლოდინში არიან.

დასავლეთის ფრონტი

გერმანეთის ცნობა

ბერლინი. მაისის 11. კემელის მახლობლად დრო-გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენი ქვეითი ჯარი მარჯვედ მოქმედებდა. ფრანგებმა კერძო ხასიათის იერიშები მოიტანეს კემელისა და ლოკრის ჩრდილოეთით, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. მდ. სომის ბრძოლის ასპარეზზე საკმაოდ ძლიერი ბრძოლა სწარმოებს ქვეითა ჯარების შორის. ინგლისელმა ჯარებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლის გაჩენის შემდეგ უნაყოფო იერიშები მოიტანეს აკლის ტყის გასწვრივ. თანაც საკმაოდ მძიმედ დაზარალდნენ. სადამოთი ჰანგარდისაჰავრის დასავლეთ ნაპირებზე იერიშები განაახლეს, მაგრამ აქაც ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა. მზვერავი რაზმები დათარეშობენ და პარტიზანულად იბრძვიან მდ. უაზისა და ენის ნაპირებზე. შამპანში პონტ-ა-მე სონის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აპრემონის ტყეში ფრანგთა ბატალიონები გვესხმოდნენ, მაგრამ ყოველი იერიში მოგერიებულ იქმნა. ჩვენვე მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიშები აპრემონის სამხრეთ-დასავლეთით და პარუას ჩრდილოეთით.

ბერლინი. მთავარი სარდლობა იუწყება. მაისის 11. ლისის სამხრეთ დასავლეთით ქვეითა ჯარების მოძრაობა იყო.

ტრანს-ოკეანის პრეს ბიურო ათ მაისს იუწყება: ინგლისელთა საზღვაო ძალებმა ათ მაისს, ნაშუადღევის სამ საათზე, ძლიერი საარტილერიო სროლა აუტეხეს ოსტენდეს ფორტებს და მოისურვეს მისი ზღვაში გასავალი კარის ჩახურვა. მტრის რამდენიმე გემმა ბოლის ხელოვნური ფარდა აღმართეს და შეეცადნენ ნავთსადგურში შემოჭრას, მაგრამ სანაპირო ბატარეების კონცენტრიული ცეცხლით უკუგდებულ იქმნენ. მტრის ერთი ძველი კრეისერი სრულიად დამსხვრეული გდია არხის გარეთ. არხში შესასვლელი კარი კვლავ თავისუფალია. დამსხვრეულ გემის ნაპირებზე დახოცილთა გვამები ჰყრია. გადარჩენილია ორი კაცი, რომელთაც გამოხტომა მოუხერხებიათ. ორთავე დატყვევებულნი იქნენ, მტრის ერთი მონიტორი ჩაძირეს, ხოლო მეორე ძალზედ დააზიანეს. ამნაირად, ოსტენდეს არხის ჩაკეტვა ვერ მოახერხა მტერმა და საკმაო ზარალი ნახა, როგორც გემებით, ისე ხალხით. (ეს ცნობა ინგლისურ ენაზეა მოსული).

ბერლინი. 11 მაისი. ოფიციალური. ათ მაისს, ნაშუადღევზე და სადამოთი მტრის საჰაერო ესკადრამ გამოითარეშა და სოფელ ზეებრიუგეში ყუმბარები ჩამოჰყარა. ნივთიერი ზარალი არაა. მტრის სამი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

საფრანგეთის ცნობა

პარიზი. მაისის 11. ბრძოლის ასპარეზის ზოგიერთ ადგილას საარტილერიო სროლა გაცხოველდა. გერმანელებმა საგანგებო ჯარებით იერიშები მოიტანეს მუადე-მეტონის მახლობლად, მეილის სამხრეთ-დასავლეთით. იერიშები ჯერ ნაყოფიერი იყო მათთვის, მათ ტყის ჩრდილოეთი ნაწილი დაიჭირეს, მაგრამ იმდეგში ფრანგებმა კონტრ-იერიში მიიტანეს და დაკარგული ადგილები აღადგინეს. საარტილერიო სროლა მკვირცხლ ხასიათს იღებს ოვილეს და ნესარენის მიდამოებში. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა ჩვეულებრივია.

ქრონიკა

თბილისი.

◆ დღეს, სამშაბათს, სად. 7 საათზე შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება,—კამათის გასაგრძელებლად ამიერ-კავკასიის და საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენის თაობაზე.—ცალკე მოწვევის ბარათები წევრებს არ დაეგზავნებათ. კანდიდატების დასწრება საჭიროა.

◆ **მთავრობის კანცელარიის გამგის გადადგომა.** თანამდებობიდან გადადგა მთავრობის კანცელარიის გამგე ს. ე. სირინი. ამ თანამდებობაზე აზრად აქვთ დანიშნონ ნაფ. ვექილი ს. დ. ჯაფარიძე.

◆ **მიწადმოქმედების მუშათა დასაკმაყოფილებლად** მიწადმოქმედების მინისტრს გადაეცა 400000 მან.

◆ **მასწავლებელთა კურსები.** სწავლა-განათლების მინისტრს წინადადება მისცეს წარმოადგინოს პროექტი მასწავლებელთა კურსებისა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

◆ **მთავრობამ დაადგინა** განკარგულება გასცეს, რომ გასაუქმებელ დაწესებულებებს აეკრძალოთ რაიმე ქონების გაყიდვა სურსათის მიმწოდებელ კომიტეტის ნებადაურთველად.

◆ **საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტის** სესიამ დაადგინა ყველა სადგილ-მამულო კომიტეტებთან დაარსოს საგანგებო სადგილ-მამულო კომისიები. ამათ უნდა მიუჩინონ იმ მიწებს, რომლებიც კომიტეტების განკარგულებაში გადმოვა. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ყოფილ მიწადმოქმედების სამმართველოს სამეურნეო აპარატი. ეს ზომა გამოწვეულია იმით, რომ ჩამორთმეული მამულები, რომლებშიაც სხვა და სხვა ძვირფასი კულტურაა, იხრწნება და მცენარეულობა ილპება.

◆ **თბილისის სადგილ-მამულო კომიტეტი** შუამდგომლობს გლეხთა საოლქო ცენტრის წინაშე ნება მისცენ მის წარმომადგენლებს კიდევ დარჩნენ ადგილობრივ აგიტაციისთვის, რადგანაც ასეთის საშუალებით რეფორმის განხორციელება ადვილდება.

სოფ. შილდა

◆ **სოფელ შილდაში** გაჩნდა რაღაც გადამდები სენი, რითაც გარდაიცვალა ლაზო კალატოზაშვილი ცოლით, შვილით და ძმით. მათი მომვლელიც ავად გახდა. ეჭვი აქვთ, რომ ეს გადამდები ავადმყოფობა ჩამოჰყვა იმათ ახლად ჩამოსულ შვილს სარიყამიშიდან. ყურადღების მიქცევა საჭიროა, აქ კი უბრალო ფერშალიც არ მოიპოვება, თელავიდან ექიმის ჩამოყვანა კი ჯდება 200 მანეთი.

ქ. ახალქალაქი

◆ საქართველოს ეროვნულ საბჭომ მიიღო ცნობა ახალ ქალაქიდან რომ სომხები დაეცნენ ქართველ-მაჰმადიანს, მოხუცებულს მამედ-ალიმექ-ფალავანდიშვილს, წაიყვანეს ტყვედ თვისი ოჯახობით, მისი სოფელი და სახლი გაანადგურეს, ქონება კი გაიტაცეს; ქალებს ნამუსს ჰხდიდნენ და დიდ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ეროვნული საბჭო უკვე შეეკითხა ახალქალაქში და დაწვრილებითი ცნობები მოითხოვა ამის შესახებ.

ამიერ-კავკას. მთავრობა

◆ **ფინანსთა და შრომის სამინისტროებს** მთავრობამ დაავალა, შეადგინონ პროექტი სავალდებულო დადგენილებისა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების მიერ სალიკვიდაციო ჯილდოს მიღების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირნი სხვა დაწესებულებებში აპირებენ სამსახურს. პროექტის შესადგენად 3 დღის ვადაა დანიშნული.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** სეიმში შეიტანა კანონპროექტი სახელმწიფო დაწესებებში მოსამსახურე მამაკაცთა გათანასწორება უფლებრივად პენსიის და ერთ დროულ დახმარების მისაღებად ქალებთან გათანასწორება.

◆ **საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ** არჩეულ იქნა ა. ყაზარიანი.

◆ **ყველა სამინისტროებმა** სეიმს წარუდგინეს თავთავიანთ მოსამსახურეთა შტატის და შესაფერ ხარჯ-აღრიცხვის პროექტი. სეიმმა პროექტი უარჰყო, რადგანაც თუ ამიერ კავკასიის რესპუბლიკა შეერთებულ შტატებისაგვარ მოეწყო, როგორც ეს განზრახულია, მაშინ თითო კანტონს მოსამსახურეთა ცალკე შტატი ეყოლება.

◆ **ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის** ამხანაგად [illegible] გაჯინსკის მაგივრად [illegible] დაინიშნა.

◆ **შრომის სამინისტრომ** მუშაობის რაოდენობის შესახებ მიიღო შემდეგი განმარტება: ის პირნი, რომელნიც ფიზიკურად მუშაობენ, თვეში 200 საათი უნდა იმუშაონ, კანცელარიების და კონტორების მოსამსახურეებმა კი—თვეში 150 საათი.

◆ **ბათომის კონფერენცია.** ამიერ კავკასიის მთავრობა იუწყება, ბათუმის კონფერენცია ახლო მომავალში დაიწყებაო. ბათომში ამიერ კავკასიის დელეგაციის გარდა ოსმალეთისა და გერმანეთის დელეგაციაც ჩამოსულა, რომელნიც ჩვენს დელეგატებს უკვე შეჰხვედრიან. შეხვედრა არა ოფიციალური იყო. მალე ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარების დელეგატებიც ჩამოვა.

ეროვნული საბჭო

12 მაისს კრება.

განსახილველია საქართველოს და ამიერ-კავკასიის პოლიტიკური წყობილების საკითხი.

თავმჯდომარეობს გ. ლასხიშვილი.

სერგო ჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას იმ კომისიის დავალებით, რომელიც წარსულ კრებაზე იყო არჩეული კონსტიტუციის ძირითადი კითხვების შესამუშავებლად. მომხსენებლის სიტყვით, კომისია ვერ მივიდა საერთო დასკვნამდე და ამის გამო მას დავალებული აქვს მცირე მოხსენება წარუდგინოს საბჭოს შესახებ ამიერკავკასიის მოსალოდნელ ფორმებისა, რის შემდგომ ფრაქციების წარმომადგენელნი წარმოადგენენ თავის ფრაქციების აზრს ამ საკითხის შესახებ.

ორატორი აღნიშნავს, რომ მტკიცე საზღვრის გავლება ფედერაციისა და კონფედერაციის შორის შეუძლებელია. ამ ფორმებში უმთავრეს განსხვავებას ის ხედავს იმ მომენტში თუ რამდენად უფრო მტკიცეა შეკავშირებულ ერთეულთა. თუ კავშირი ძლიერია—ეს ფედერაცია არის და ის თუ უფრო სუსტია კონფედერაცია. მომხსენებელი მოახსენებს კრებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) პროექტს ამის შესახებ.

საერთო კანონმდებლობისა და მმართველობის საგანს უნდა შეადგენდეს—საგარეო და სამხედრო საქმე, საერთო ფინანსები, საბაჟო სისტემა, რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი, ფულის სისტემა, სავაჭრო უფლება, სამოქალაქო და სისხლის სამართალი (ერთი მცირე ნაწილისა), შრომის უფლება და სხ.

ყველა ეს საკითხები შეადგენს ამიერ-კავკასიის საერთო პარლამენტის კომპეტენციას. პარლამენტს ირჩევს ამიერკავკასიის ყველა მცხოვრებნი საერთო წესით. აღმასრულებელი ძალა საერ-

თო სამინისტრო, თუ აღმასრულებელი კომიტეტი.

ყველა იმ საკითხების საერთო ცენტრში გადატანას მომხსენებელი იმით ასაბუთებს, რომ ამიერ კავკასია ერთს მთლიანს ერთეულს წარმოადგენს, რომელსაც ძლიერ ბევრი საერთო ეკონომიური და კულტურული ინტერესები აქვს. აგრეთვე მომხსენებლის აზრით დემოკრატიული იდეის განმტკიცების საჭიროებაც მოითხოვს. მაშინ უფრო მეტი საშუალება ექნება ქართველ დემოკრატიას გავლენა იქონიოს თავის მეზობლებზე და მათ დემოკრატიასთან შეკავშირებით იმოქმედოს. თუ ადერბეიჯანში სხვა შრომის კანონმდებლობა იქმნა და საქართველოში კიდევ სხვა, მომხსენებლის აზრით შესაძლებელია, რომ ბაქოში 12 საათის სამუშაო დღე დაწესონ და ჩვენში 8 საათის სამუშაო დღე დარჩეს. ამას კი ის მოჰყვება, რომ ბაქოში შრომის ნაყოფი საქონელი უფრო იაფი დაჯდება ვინემ ჩვენში და ამის გამო ჩვენ მათ კონკურენციას ვერ გაუწევთ.

პავლე საყვარელიძე (ალიანის ჯგუფი) აღნიშნავს, რომ მენშევიკების მიერ წარმოდგენილი ფორმა არის უნიტარული სახელმწიფო და არა ფედერაცია. ის შემცდარად ჰლიარებს იმ აზრს, თითქო ფედერაციისა და კონფერენციის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ერთი უფრო ძლიერი კავშირია, ვინემ მეორე. შვეიცარიაში საერთო საკითხების გადასაწყვეტად არსებობს ორი ორგანო ნაციონალური კრება და ფედერალური საბჭო. პირველს ყველა მცხოვრებნი ირჩევს, მეორე კი შესდგება შტატების თანასწორ რიცხვის წარმომადგენლებისაგან. არც ერთი კანონი არ არის მიღებული, თუ ის ორივე ამ ორგანომ არ მიიღო. ამით დაცულია შტატების თანასწორ უფლებიანობა, ვინაიდან საბჭოში შტატებს თანასწორი წარმომადგენლობა აქვთ. თუ ამიერ-კავკასიას ერთი პარლამენტი ექმნა და იქ ყველაფერი ეს საკითხები ხმის უმრავლესობით გადაწყდა, ცხადია, რომ აქ ერთი ერის დაჩაგვრა სულ ადვილი იქნება. როდესაც ყველა მთავარი საკითხები ასეთს ცენტრს ენიჭება და იქ ყოველივე ხმის უმეტესობით სწყდება, ეს არც ფედერაცია და არც სხვა რამე, არამედ უნიტარული სახელმწიფო. ორატორი ამტკიცებს, რომ ამიერ-კავკასია არ არის მთლიანი რამ არც ეკონომიურად, არც კულტურულად, თუ ფსიხოლოგიურად. მისი ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულში მომწყვდევა ყველა მისი ნაწილებისთვის საზარალოა. თუ შესაძლოა, რომ ადერბეიჯანმა 12 საათის სამუშაო დღე მოითხოვოს, ჩვენ კი 8 საათის, სწორედ ამისთვის უნდა გამოვეყოთ ჩვენ, რომ უმრავლესობით უფრო რეაქციონური კანონები არ მოგვახვიონ. ფედერაცია ჰგულისხმობს რომ არის ერთი ცენტრი საერთო წესით არჩეული, მაგრამ ამასთანავე არის მეორე სადაც დაცულია ყველა ნაწილების თანასწორობა. კონფერენციაში უკვე აღარ არსებობს ასეთი საერთო წესი, არჩეული ცენტრი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც თანასწორ წარმომადგენლობისაგან შესდგება.

ჩვენ უნდა მივიღოთ კონფედერაცია და რაც შეიძლება ნაკლები საკითხები მივანიჭოთ მას. საერთო ცენტრს უნდა მიენიჭოს საგარეო საქმე, სამხედრო საბჭო, და საერთო საჭიროებისთვის ფინანსები. სეიმის მუშაობაც ორატორის აზრით კონფედერაციის წესით სწარმოებს. ყველა საკითხები სწყდება სამი მთავარი პარტიათა შორის შეთანხმებით. დემოკრატიულ იდეებს მაშინ უფრო გავავრცელებთ, თუ ჩვენი დემოკრატია თავის საქმეს კარგად მოაწყობს და თავის მეზობლებისათვის სამაგალითო გახდება. განა ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ მთელს ამიერ კავკასიაში რეფორმების გატარება შეუძლებელი ხდება? განა შესაძლებელია, რომ მიწის საკითხი განხორციელდეს ამიერ კავკასიის მასშტაბში? როგორ შეიძლება საერთო სახელმწიფოს მოწყობა, როდესაც ჩვენი მეზობლები არ მალავენ, რომ მათ გამოყოფა სურთ და ოსმალეთთან მიკედლება. განა ჩვენ ვერ ვიარსებებთ საკუთრად? ჩვენ გამოვეძებნით მფარველს და დამხმარეს. გერმანიასთან დაახლოვება ჩვენთვისაც არის შესაძლებელი.

ამიერ კავკასია უნდა მიეწყოს კონფედერაციად. თვით საქართველო უნდა იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მის განაპირა ადგილებს უნდა მიენიჭოს ავტონომია. ორატორი იმოწმებს კარლ კაუცკის, რომ ყველა ერების იდეალი უნდა იყოს სრული თავისუფლება. მხოლოდ იმპერიალისტები და სამწუხაროდ ზოგიერთი სოციალისტებიც მოითხოვენ ცენტრალისტურ წყობილებას, რაც სავსებით ეწინააღმდეგება დემოკრატიულ იდეას.

(დასასრული იქნება)

გერმანელები ტფილისში

„ედინენიე" (ეუპარტიოთა ორგანო) გადმოგვცემს: თბილისში გაჩნდნენ გერმანელი ოფიცრები და კომერსანტები. კომერსანტები მცხოვრებლებთან სავაჭრო კავშირს იჭერენ. ამბობენ, რომ მათ შეუსყიდიათ მთელს ამიერ-კავკასიაში სათადარიგოდ გადადებული ბამბა 5 მილიონ მანეთად.

გერმანელთა ერთი ჯგუფი გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში, რომ გამოარკვიონ გერმანეთისკენ შავი ქვის გაზიდვის საკითხი. ამ მიზნისთვის მათ ბათუმსა და ტრაპიზონში უკვე მზადა ჰქონიათ საჭირო გემები.

დონის ოლქში

კავშირი კავკავთან

კავკავში ასრულებენ მუშაობას რადიო სადგურის მოწყობის შესახებ. სადგური შესძლებს კავშირი დაიჭიროს კავკავიდან 400 ვერსით დაშორებულ ადგილებთან (თბილისთან, ნოვოროსიისკთან, პეტროვსკთან და სხ.)

რუსეთი

ციმბირის დანაწილება.

ბოლშევიკების დეკრეტმა უცხოეთის სესხის გაუქმების შესახებ, როგორც სჩანს მოკავშირეთ აღუძრა ციმბირის დაყოფა-დანაწილების გეგმა.

ჩინეთი იჭერს მანჯურიას, იაპონია ზღვისპირის ოლქს ვლადივოსტოკით, ამერიკა თავის გავლენის ქვეშ იტოვებს ციმბირის მაგისტრალს, ინგლისს ირკუტსკის ოქროვან რაიონებში პრივილეგიებს ჰპირდება.

უკანასკნელ დროს ხშირად იმეორებენ ახალ კომბინაციას: მაგისტრალის დაჭერას ამერიკა საფრანგეთს უთმობს. სამაგიეროდ საფრანგეთი ამერიკას ჰპირდება საფრანგეთის ინდოჩინეთში შესაფერ კომპენსაციას.

ზაბაიკალის რკინის გზის და ბრგუზის (ზაბაიკალში.) ოქროვან ადგილების დაჭერა უკვე გადაწყვეტილია და მახლობელ დღეებში განხორციელდება.

უცხოეთი

იაპონიის გეგმები

ტოკიოდან იუწყებიან, რომ მთავრობას არ სურს განაცხადოს თავისი გადაწყვეტილება ციმბირში გამოსვლის შესახებ, ვიდრე საბოლოოდ არ გადასწყდება კრიზისი კაბინეტში.

მობილიზაცია იაპონიაში

ჩიტადან იუწყებიან: იაპონიაში ნაწილობითი მობილიზაცია გამოცხადდა.

გერმანეთი და ფინლიანდია

კოპენჰაგენი. მარტის 18. გარეშე საქმეთა კომისარიატის ცნობით გერმანელები მეტად დაინტერესებული არიან ფინლიანდიის ტყეებით, წყალვარდნით და სატყეო მეურნეობით. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში არ სჯერათ, რომ სვინხუვუდის მთავრობის და გერმანეთის შორის შეთანხმება მომხდარიყოს გერმანელების მიერ ფინლიანდიის ბუნების ძალთა და სიმდიდრეთა ექსპლოატაციის შესახებ. თუ კარელია ფინლიანდიას შეუერთდა გერმანელებს ხელები გაეხსნებათ რუსეთის კარელიის სიმდიდრით სარგებლობისათვის.

მეომართა მადლობა

მეორე ქართულ მსროლელ საარტილერიო ბრიგადის მეოთხე ბატარეის ოფიცრები და ჯარის კაცნი გულწრფელ მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც სააღდგომო საჩუქრებით და სალამით მოიგონეს ისინი და ამ ხსოვნით და თბილი გრძნობით სავსე მზრუნველობით ცოტაოდენად მაინც შეუმსუბუქეს მათ ნაღველი საკუთარ ოჯახისგან დაშორებით გამოწვეული.

განსაკუთრებულ მადლობას მოახსენებს მე-4 ბატარეია მეორე დივიზიის უფროს პოლკ. კარგარეთელის ოჯახს, რომელმაც პირველად თავს იდვა და საკუთარის ენერგიით და შრომით შეგროვილ სადღესასწაულო ნობათით გაახარა ყველა ჩვენგანი.

მეორე ქართ. მსრ. საარტ. ბრიგადის ოფიცრები და ჯარისკაცები.

კორესპონდენცია

კალაურიდან

(20 მარტში რიცხვით) ხალხი ჩვეულებრივ მუშაობას განაგრძობდა ვენახებში. იქნებოდა შუადღის სამი საათი, როცა გაისმა თოფის სროლის ხმა კალაურის და შაშიანის სამზღვარზე. ხალხი დაფთხა. სროლის მიზეზს აქეთ-იქიდან კითხულობდნენ. კალაურის წითელ გვარდიელები, რომელნიც კი ახლოს იყვნენ, ხმაურობაზე გამოცვივდნენ. ზოგნი სამუშაოდგან, პერანგის ამარა თოფით ხელში გამორბოდნენ სოფლისაკენ. გამოირკვა, რომ თოფი უსროლნია თელავის მაზრის კომისარს, სილოვან კობიძეს. ამის შემდეგ ხალხი დამშვიდდა. შემდეგ სილოვანი მიბრძანდა კანცელარიის ეზოში თავის მილიციით. სასაცილო სურათს წარმოადგენდა უზომოდ მთვრალი კომისარი თავის მილიციელებით. კომისართან მივიდნენ მაჩივრები: სხვათა შორის ყაჩაღების მიერ მოკლულის ყაჭიაშვილის ცოლი. მაგრამ რა პასუხი, ან დარიგების მიცემა შეეძლო! ცხენზედ ძლივს იჭერდა თავს. რაღაც გაუგებარ ლუღლუღის შემდეგ, გაემართა თელავისაკენ. სანამ შარა გზაზედ ჩავიდოდა კომისარი, წინ დაწინაურებულმა მილიციელმა გაისროლა თოფი, ტყვია მოხვდა იოსებ იაგოროვის სახლის გვერდს, სროლაზე ხალხი შეშინდა. იოსებ იაგოროვი მივიდა კომისართან და სთხოვა, რომ ჰყოლოდა თავხედი მილიციელი, ეს იუკადრისა კომისარმა, როგორ თუ შენ ჩემს მილიციელს უჩივლეო, მისდგა და თოფის კონდახით ჩაამტვრია თავ-პირი. შემდეგ დაიჭირა და მიჰყავდა, ვინ იცის სად!. ვინც სთხოვდა უდანაშაულოა და განთავისუფლე ნუ მიგყავს თანაო, ის მილიციელებს უბრძანებდა: ესროლეთ! მოკალით ვინც რამეს მთხოვსო. საბედნიეროდ იქ შეესწრო შემთხვევით მილიციონერი ვართან არუთინოვი, რომელმაც დაიხსნა იაგოროვი, თორემ ვინ იცის, რა დღე დაადგებოდა. მეორე დღეს იაგოროვი წავიდა თბილისში, საგუბერნიო კომისარიატში საჩივლელად. ამ მოკლე ხანში სილოვან კობიძის საქმე გადაეცემა გამომძიებელს. ეს უპასუხისმგებლო თავხედი კომისარი რა ერთი ხანია ასე უდამიანოთ იქცევა. ამას წინად ჩვეულებრივად გადაქცეული მიბრძანდა ვაჩნაძიანის (კახ. რკ. გზა) სადგურზე თავის მილიციელებით, დაინახა გზის რემონტის მუშა და დაუწყო ყვირილი: ჩქარა თივა მომიტანეო, მუშამ უპასუხა, რომ მას არა სცალიან, რომ მას თავის საკუთარი უფროსისაგან აქვს საქმე მინდობილი, სიტყვის შებრუნება იუკადრისა, მისდგა და ისე სცემა გზის მუშას, რომ ნაცემი საავადმყოფოში წაიღეს. მთელი მუშები რკინის გზისა აღშფოთებულნი იყვნენ ამ ამბით. კარგი იქნება თელავის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მიაქციოს ამ საქმეს ყურადღება და აალაგმოს თავხედი კომისარი.

იოსებ იაგოროვი.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ სოფ. ნინოწმინდის მრევლმა და ეკლესიის კრებულმა მოქალაქეს ანდრია ზურაბის ძეს როსტომაშვილს, რომელმაც თავისი გარდაცვალებული ძმის იასეს სახსოვრად შესწირა ნინოწმინდის ეკლესიას ათი თუმანი (100 მ.) ნინოწმინდის ძველი ნაშთის (სამრეკლოს) შესაკეთებლად.

მრევლის მინდობილობით მღ. ალექსი გულისაშვილი.

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისტენტი
იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს
დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე.
მიხეილის პროსპ. 76. (აიკინის კბილის საექიმო).
ტელეფონი 7—38.

ვასწავლით
ქართულ სიმღერას გალობას
და
ვამზადებთ მომღერალ-მგალობლებს დიდ და მცირე სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა ძმ. კავსაძეებთან (ქართულ ბანკში და ქალაქის გამგეობაში).
სწავლა-ვარჯიშობა: ჩუღურეთის ნიკოლოზის კლასი. სამშაბ. და პარასკევობ. საღ. 5—8 ს. გამოცდილნი მომღ.-მგალობელნი მიიღებიან ჯამაგირით.
3—2

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის სასარგებლოდ მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის მიერ ნებადართულია სამ თვიური
იურიდიული კურსები
ნაფიც ვექილ ნ. ნ. მაქსიმოვის ხელმძღვანელობით
კურსების მიზანია: 1) იურიდიულ მეცნიერებათა სწავლება, 2) იმ პირთა მზადება, ვისაც ჰსურს იმსახუროს სახელმწიფო, საზოგადო თუ კომერციულ დაწესებულებათა შორის. პროგრამა: სისხლისა და სამოქალაქო უფლებათა საფუძვლები; სისხლისა და სამოქალაქო პროცესები; სახელმწიფო და საადმინისტრაციო უფლებათა მოკლე კურსები; სათამასუქო და სავაჭრო უფლებები; საქალაქო და საერობო დებულებანი; წესდება მილიციის შესახებ; კოოპერაციის კურსები. სასყიდელი თვითეულ კურსისა 200 მანეთი, რაიც ორ ჯერადად შეიძლება შემოიტანონ. ჩაწერა შეიძლება ელისაბედის ქუჩაზე, № 67, საღამოს 5—7 საათზე. მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
(ნ—1587—5)

ახალი წიგნი
გრიგოლ ვეშაპელი.
საქართველო და რუსეთი
(მეფე ერეკლეს პოლიტიკა)
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუქით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.
წიგნი იყიდება: „საქართველოს" კანტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" და „წერა-კითხვის" წიგნის მაღაზიაში.

მომხმარებელ საზოგადოების
„დახმარების"
გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ საზოგადოების საქმე გაფართოვდა და ამ კვირიდან, აღდგომის წინა დღეებში, გაიხსნა განყოფილება. მთავარი მაღაზია მოთავსებულია ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღის ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება".
საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადაიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა [illegible] შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.
ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორივე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. ავალიშვილთან) და გაზეთ „საქართველოს" კანტორაში (ვეცენი გეგეჭკორთან).
ერევნის მოედანზე მაღაზია გაიღო აღდგომის წინა დღეებში.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ა. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კიროჩინი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნაეოს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი იმპ. ბავშვთა კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელ. № 17—21.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „მო-მონდის" პირდაპირ.
თ—1018—32

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
თ—1536—13

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ჟორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირას გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
ტელეფონი 14—37
1ო—960—40

სტამბა „ცნობრება" ა. კალანდაძისა გაზეთის შესახვევი № 4.